# საიჯარო ხელშეკრულება№ 39

ქ. თბილისი 05 თებერვალი 2015წ

ჩვენ, ერთის მხრივ შ.პ.ს „მგუ“ (შემდგომში „მოიჯარე), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ციხიშვილის სახით და შპს „მუხა“ (შემდგომში „მეიჯარე“) წარმოდგენილი დირექტორის ე.ბოჭორიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე თავისი საქმიანობისათვის, დროებითი სარგებლობის უფლებით ღებულობს მეიჯარის კუთვნილ არასტაციონარ (ცარიელ) მიწის ფართს 1100კვ.მ. ოდენობით, რომლის მისამართია ქ.თბილისი ვანის ქ. №4. საკ.კოდი: 01.13.06.006.036.

1.2. ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე თანახმაა, მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საიჯარო ფართზე მიმდინარე და სარეკონსტრუქციო სახით სარემონტო სამუშაოების ჩატარება „მეიჯარე“-სთან შეთანხმებით.

## II საიჯარო საზღაური და გადახდის წესი

2.1. ხელშეკრულების სუფუძველზე საიჯარო გადასახადი განისაზღვრება 3300 (სამი ათას სამასი )ლარით, დღგ-ის და კანონით განსაზღვრული გადასახადების ჩათვლით.

2.3. საიჯარო ქირის გადახდა წარმოებს მოიჯარის მიერ თანხის მეიჯარის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის წესით, ყოველი მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წლის ბოლოდან ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში მოხდება საიჯარო გადასახადის გადახედვა.

2.4. მეიჯარე თავად აწარმოებს ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან.

## III. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

3.1. მოიჯარე ვალდებულია:

3.1.1. დროულად და შეთანხმებული წესის მიხედვით დაფაროს ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო საზღაური.

3.1.2. მოიჯარე ვალდებულებას იღებს დაქირავებულ ფართში არსებული თავისი ქონების დაცვას ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების და მისი თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვას.

3.1.3. სათანადოდ მოუფრთხილდეს, გამოიყენოს და დაიცვას მიღებული მიწის ფართი. არ მოითხოვოს მის მიერ გაწეული სარემონტო ხარჯების ანაზღაურება

„მოიჯარე“ ვალდებულია ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდგომ „მეიჯარე“-ს ჩააბაროს აღნიშნული არასტაციონარი მიწის ფართი პირვანდელ მდგომარეობაში

3.1.5. თუ ქირავნობის ადგილს აღმოაჩნდება ნაკლი, ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება, მოიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეიჯარეს.

3.1.6. მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოახდინოს ფართის ქვეიჯარით გაცემა მესამე პირზე.

3.2. მეიჯარე ვალდებულია:

3.2.1. დროულად გადასცეს მოიჯარეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ფართი.

3.2.2. მეიჯარე ვალდებულებას იღებს აღნიშნული ტერიტორიის გარე დასუფთავებაზე და გაწეული ხარჯების თავად ანაზღაურებაზე

3.2.3. თავისი მიზეზით არ დაუშვას მოიჯარეს მიერ ფართით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

3.2.4. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ამ ხელშეკრულების მოშლასთან, შეწყვეტასთან ან ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ,

## IV ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 05 თებერვლიდან 2018 წლის 05 თებერვლამდე (სამი წლით)

4.2. ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტისა და დადგენილი სანქციების საფუძველი.

4.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია 1 თვით ადრე წერილობით აცნობოს მეიჯარეს ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

4.4. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ „მოიჯარე“-ს უფლება აქვს წერილობით მიმართოს საჯარო სარეგისტრაციო სამსახურს წინამდებარე რეგისტრირებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე.

## V დასკვნითი დებულებანი

5.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

5.3. ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ და ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიღწეულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.

5.4. ხელშეკრულების ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმით.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და რჩება მხარეებთან, ხოლო ერთი წარდგენილი იქნება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მხარეთა რეკვიზიტები

„მეიჯარე“ შ.პ.ს „მუხა“ ქ.თბილისი, აკ.წერეწთლის გამზ.№126, ს/კ №201944691.
მომსახურე ბანკი ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ა/ნ.GE 69 VT 6500000006603602

„მოიჯარე“ შ.პ.ს„ მგუ“ მისამართი- ქ. თბილისი ვანისქ №4
ს/კ. 202374242 ს.ს. თიბისი ბანკი ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი TBSBGE22 ა /ნ. GE 06TB 777736060100001